

ნინო აბუაშვილი

სესხი და ვალი ძველ შუამდინარეთში

შუამდინარეთში ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან იწყებს განვითარებას სასესხებო-სავალო ურთიერთობები, რასაც ადასტურებს ამ პერიოდის შუამდინარული ტექსტები. ეს ფაქტი უფლებას გვაძლევს ჩავთვალოთ, რომ სწორედ შუამდინარეთი არის სასესხებო-სავალო ურთიერთობების წარმოქმნის ადგილი.

მაიკლ ჰადსონი მიიჩნევს, რომ პროცენტის დარიცხვის პრაქტიკა, წარმოიშვა შუმერული ტაძრებისა და სასახლეების მიერ ხელით ნაკეთობებისა და ვერცხლის ავანსად მიცემის პრაქტიკიდან ვაჭრებისათვის საზღვარგარეთ გასაყიდად [22:1].

ვ. ჩანტლაძე სასესხებო-სავალო ურთიერთობების წარმოქმნას შემდეგნაირად ხსნის: ფულადი სიმდიდრის დაგროვებამ ერთ მხარეზე და ფულის დიდმა საჭიროებამ მეორე მხარეზე წარმოშვეს მევახშეობა. ღარიბი ოჯახები სესხულობდნენ მდიდრებისგან, თავდაპირველად სესხი ნატურალური იყო, მაგრამ საქონლურ-ფულადი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად გახშირდა ფულადი სესხი [5:20].

განხილული შუამდინარული ტექსტების საფუძველზე შევეცდებით წარმოვადგინოთ სასესხებო-სავალო ურთიერთობების მეტნაკლებად სრული სისტემა, განვიხილავთ რა სესხის და ვალის ფორმებს, სახეობებს, ფუნქციებს, მათ თანამედროვე განსაზღვრებებთან შეფარდებით, რომლებიც განხილულია თემის პირველ თავში.

სიტყვების „სესხის“ და „ვალის“ და მათთან დაკავშირებული სხვა ტერმინების აღსანიშნავად გვხვდება რამდენიმე შუმერული და საკმაოდ მრავალრიცხოვანი აქადური სიტყვები, ასევე ერთი და იგივე მნიშვნელობის სხვადასხვა აქადური სიტყვები აქადური ენის განსხვავებული დიალექტებში [იხ. 3:2].

სესხები არის უპროცენტო და პროცენტიანი. სესხის პროცენტი მერყეობს სულ უპროცენტოდან საკმაოდ დიდ პროცენტამდე. უპროცენტო სესხები იშვიათად გვხვდება. პროცენტი, ისევე როგორც სესხი არის ფულადიც და არაფულადიც. შესაძლებელია გასესხებული ვერცხლი და მისი პროცენტი ჩასესხდეს პროდუქტით ან (იშვიათად) პირიქით, როცა გასესხებულ პროდუქტს, ან სხვა რაიმე ნივთს აბრუნებენ ვერცხლით. არაფულადი სესხის დროს არ არის აუცილებელი მევალემ ვალი აუცილებლად ნასესხები პროდუქტი/ნივთით დააბრუნოს, მაგალითად შეიძლება ისესხოს

კალა და დააბრუნოს ვერცხლი, თავანის და მისი პროცენტის შესაფერისი ექვივალენტით. თუმცა ხშირად ესეც წინასწარი სავალო ხელშეკრულებით არის განსაზღვრული.

ზოგიერთ პერიოდში საპროცენტო განაკვეთი მკაცრად არის განსაზღვრული კანონის მიხედვით, მაგალითად დაახლოებით ძვ.წ 20 საუკუნის შუა ხანებში განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი იყო ვერცხლზე – 20% (I სიკლ-ზე ანუ 180 შე-ზე 36 კა), ხოლო მარცვლეულზე – დაახლოებით 33% (I გურ ანუ 300 კა ქერზე 100 კა) [19:2,3,4; 2:9,10].

ძვ.წ. XIX-XVIII საუკუნეში, ასურელი ვაჭრების მოღვაწეობის პერიოდში ორი ტიპის სესხი გვხვდება: უპროცენტო სესხი, რომელიც გადაიქცეოდა პროცენტიანად გადასახადის ვადის გადაცილების მომენტიდან [9. №78-88:172-181; 91-97:182-188] და პროცენტიანი სესხები, რომელზედაც პროცენტი ირიცხებოდა სესხის გაცემის მომენტიდან [9. №89-90:181-182]. საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი – 30 პროცენტი. ერთ შემთხვევაში ეცემა 10 პროცენტამდე [9. №89:181], იმ დროს, როცა ასურული სავაჭრო კოლონიების პერიოდში სემიტი მცირეაზიელების მიერ გაცემულ სესხებში, პროცენტული განაკვეთი 25%-ზე ნაკლები არ გვხვდება. არსებობს სამი სასესხო დოკუმენტს მცირეაზიელებს შორის, რომლებშიც საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 40-დან 130 პროცენტამდე.

როგორც ვხედავთ, სავაჭრო კოლონიების პერიოდში და მათ კერძო საქმიანობაში პროცენტი გამოითვლება გასესხებული თანხიდან წლიურ განაკვეთად, ხოლო ძვ. წ. XVIII საუკუნის შუა ხანებში შედგენილი „ხამურაბის კანონების“ მიხედვით კი განსაზღვრულია, თუ რა რაოდენობის პროცენტი უნდა დაერიცხოს ერთ სიკლ ვერცხლს და ერთ გულ ხორბალს: ერთ გურ ხორბალზე 100 კა ხორბალი (33%), ხოლო ფულად სესხზე 1/6 სიკლი და 6 შე, ანუ 180 შეზე 36 შე (20%) [2:24]. აღსანიშნავია, რომ ასურელი ვაჭრების მოღვაწეობის გარკვეული პერიოდი ემთხვევა ხამურაბის მეფობის პერიოდს, თუმცა აღმოჩენილი არქივის ტექსტების მიხედვით არ ჩანს კანონებს რაიმე ზეგავლენა მოეხდინა სავაჭრო საზოგადოებების მიერ პროცენტის განსაზღვრაზე.

ხამურაბის მეფობის პერიოდში დადგენილზე მეტი პროცენტის აღება კანონით ისჯება. თუ გამსესხებელი შეთანხმებულ ან დადგენილ პროცენტზე მეტს აიღებს რაც გაასესხა ისიც დაეკარგება (არათუ პროცენტი) [1:24].

საინტერესოა, თანამედროვე გაგებით არსებული სესხის ფუნქციები იყო თუ არა აქტუალური შუამდინარეთშიც. ცალ-ცალკე განვიხილავთ ზემოთ ჩამოთვლილ სესხის ფუნქციებს შუამდინა-

რულთან მიმართებაში. ტექსტებიდან გამომდინარე, შუამდინარული სესხის მთავრი ფუნქცია სწორედ გადამანაწილებელი და კვლავნარმოებითი იყო (ესე იგი ზემოთ ოთხი ფუნქციიდან მხოლოდ ორს მოიცავდა).

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ თუ რას წარმოადგენს სესხის გადამანაწილებელი და კვლავნარმოებითი ფუნქციები: სესხის გადამანაწილებელი ფუნქცია, ეს არის მატერიალური და ფარული რესურსების დროებითი და ფასიანი გასესხება, ერთი სუბიექტის მიერ ანუ ამ რესურსების მესაკუთრის მიერ მეორე სუბიექტზე ანუ მის დროებით პოტენციურ მომხმარებელზე.

ხოლო კვლავნარმოებითი ფუნქციისას ხდება ეკონომიკური სუბიექტების სავაჭრო კაპიტალით უზრუნველყოფა, რაც აისახება ერთის მხრივ კვლავნარმოების პროცესის სტიმულირებაზე და მეორეს მხრივ, წარმოებული პროდუქციის ხარისხის, თვითღირებულებისა და ფასის ცვლილება.

თუ სესხის წარმოქმნის ისტორიას გავიხსენებთ, იგი განაპირობა დიდი რაოდენობით რესურსების დაგროვებამ ერთ მხარეს, ხოლო მეორე მხარეს – უკიდურესმა გაჭირვებამ. ესე იგი, სესხის თავდაპირველი ფუნქცია სწორედ რესურსების გადამანაწილება იყო, ანუ რესურსების დროებითი და რაც მთავარია ფასიანი გასესხება. მართალია სესხს თავდაპირველად ასე ვთქვათ „ხელის გამართვის“ და აქედან გამომდინარე, სასიკეთო ფუნქცია ჰქონდა, მაგრამ ამასთანავე გამსესხებლები ბოროტად იყენებდნენ თავიანთ პრივილეგიებს, რამაც ხელი შეუწყო მევახშეობის – გამსესხებლის მიერ გადაჭარბებული პროცენტის დაკისრება – წარმოქმნას, მევახშეობას სავალალო მდგომარეობამდე მიყავდა მევალეები და განაღდგურებლად მოქმედებდა მეურნეობაზე. რაც მთავარია, ზღუდავდა მევალის და მისი ოჯახის წევრების პირად თავისუფლებას.

„ისტორიკოსები, რომლებსაც შეხება აქვთ დოკუმენტურ ჩანაწერებთან, ხაზს უსვამენ მევახშეობის კოროზიულ როლს, განსაკუთრებით სასოფლო გარემოცვაში, სადაც ის ანგრევდა დამოუკიდებლობის და ურთიერთდახმარების ტრადიციულ ეთიკას. ძვ.წ. 2000 წლისთვის სწორედ აგრარული ვალები არის წამყვანი ოჯახის წევრების და მოსავლის კონფისკაციის უფლებებით ფართოდ გავრცელებული მონობისთვის“ [22:2].

ზემოთაღწერილმა მოვლენებმა გამოიწვია სავალო მონობის გავრცელება. როგორც ძვ.წ. XIX საუკუნის დროინდელი იურიდიული საბუთების მონაცემებიდან ირკვევა, სავალო კაბალის ვადა განისაზღვრებოდა 30-50 წლით და ზოგჯერ მთელი სიცოცხლითაც კი. სწორედ ამ დამანგრეველმა შედეგებმა წარმოშვა სასესხ-

ებო-სავალო ურთიერთობების კანონით მოწესრიგების აუცილებლობა. უკვე ლიფითითარის „კანონებში“ გვხვდება მუხლი, რომლითაც კანონმდებელი მეფე ცდილობს შეამციროს და დაახლოებით მაინც განსაზღვროს სავალო მონობის ვადა, ხოლო გვიანი ხანის ხამურაბის „კანონების“ მიხედვით, სავალო კაბალა უკვე მხოლოდ სამი წლის ვადით განისაზღვრება. ამავე პერიოდიდან იძენს სესხი კვლავნარმოებით ფუნქციას. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ქიულთეფეს არქივის სავაჭრო ტექსტების განხილვა.

კვლავნარმოებითი ფუნქციის ძირითადი მასტიმულირებლებად, ანუ სესხის გამცემებად შუამდინარეთში გვევლინებიან თავად ვაჭრები და სავაჭრო საზოგადოებები, ერთ შემთხვევაში გვხვდება ტაძარიც, რომელიც სატაძრო შეწირულებიდან გასცემს სესხს. სესხის გაცემისას დგებოდა დოკუმენტები, სადაც ჩანერილი იყო გამსესხებელი, მოვალე, მონმეები და განსაზღვრული იყო სესხის ვადა და პროცენტი. საინტერესოა, რომ ქიულ-თეფეს ტექსტებშიც, მიუხედავად ასეთი განვითარებული სასესხებო-სავალო ურთიერთობისა ვაწყდებით სავალო მონობის პრეცედენტებს, როცა სესხი უზრუნველყოფილია მოვალის და მისი ოჯახის პირადი თავისუფლებით და მთელი ქონებით, ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში ისინი გამსესხებელს გადაეცემოდნენ საკუთრებაში.

ხამურაბის კანონების მიხედვითაც, გამსესხებლად ძირითადად სავაჭრო საზოგადოებები და ვაჭრები გვევლინებიან [18-22]. აქადურის ძველ ბაბილონურ დიალექტში გვხვდება საინტერესო სიტყვა *rāsum* [12:300] რაც ნიშნავს მდიდარსაც და გამსესხებელსაც.

თუმცა, ხამურაბის „კანონებში“ ერთი მეტად საინტერესო მუხლი გვხვდება, სადაც საუბარია საამხანაგოდ ვერცხლის გაცემაზე, რომლის მოგებას და ზარალსაც ერთნაირად იყოფენ.

შუამდინარეთში სესხის/ვალის ობიექტებია მინა, ნივთები, ქერი, მინა, რომელზეც მოინევა ხორბალი ან სეზამი, ხორბლის ან სეზამის დაუმუშავებული მინა, ხორბალი, მატყლი, ზეთი, ბალი რომელშიც ფინიკი მოინევა, ლუდი, სამეურნეო თესლი და ა.შ.

როგორც ჩანს ყველაზე ხშირად სესხის ობიექტი იყო ქერი და ვერცხლი, კანონებითაც მხოლოდ მათი საპროცენტო განაკვეთი არის განსაზღვრული.

ასევე აღსანიშნავია, რომ შეიძლება ერთი და იმავე შემთხვევაში სესხი იყო რაიმე ნივთი ან ფული, და ვალი სხვა ნივთი, მაგალითად, შეიძლება გასესხებული იყოს ლუდი და გადასახდელი იყოს ქერი, ესე იგი მოვალეს ვალად ჰქონდეს არა ლუდი, არამედ ქერი ან შეიძლება გასესხდეს მინა, და მსესხებელს ვალად ქონდეს გადასახდელი მასზე მოწეული მოსავალი და ა.შ.

საინტერესოა, როგორი სახეობის სესხები ქონდათ და შეესაბამება თუ არა ამჟამად არსებულ სესხის ტიპებს და მათ განმარტებას. თანამედროვე განმარტებით დაზღვეულია სესხი, როცა მოვალე თავდებად დებს რაიმე ქონებას, ხოლო დაუზღვეველია სესხი, რომელიც დაზღვეული არ არის მოვალის ქონებით.

ბუნებრივია, თავდებად ჩადებული ქონება და ნივთები შუამდინარეთში შეიძლება იყოს განსხვავებული, ვიდრე ახლათ, თუმცა სხვა მხრივ, პროცესი ანალოგიურია და უკვე მოგვიანო პერიოდში საკმაოდ კარაგდ განვითარებული. სასესხებო-სავალო ურთიერთობების ადრეულ ეტაპზე ხშირად გვაქვს საქმე დაუზღვეველ ვალთან. გვხვდება შემთხვევები, სადაც არათუ თავდები, არ გვხვდება სავაჭრო ხელშეკრულებები და ხელწერილებიც კი. ხოლო მოვალის ან პირიქით გამსესხებლის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში, მიმართავენ ღმერთის წინაშე დაფიცებას.

დაზღვეული ვალის ერთერთ მაგალითად უნდა მოვიყვანოთ ე.წ. „დახუთვა“, რაც გულისხმობს ვალის სანაცვლოდ მოვალის ოჯახის წევრის ან მონის წაყვანას. „დახუთული“ არის „დამხუთავთან“ ვალის გადახდამდე. „დახუთული“ მხოლოდ ვალის სანინდარია და „დამხუთავს“ არ აქვს უფლება ის ამუშაოს ან ცუდად მოეპყროს, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონით დაისჯება. საინტერესოა, რომ მიუხედავად სანინდრის არსებობისა, შესაძლებელია დახუთვის შემთხვევაშიც არ იყოს ვალი დაზღვეული, რადგან შეიძლება წინასწარ პირობებით არ იყოს გათვალისწინებული ვალის პირობები, გადახდის ვადა და თავდები, გვხვდება შემთხვევები, როცა უსამართლოდ „დახუთული“ ადამიანის პატრონს უწევს დაფიცება „დახუთული“ ოჯახის წევრის ან მონის დასაბრუნებლად.

არის შემთხვევები, როცა თავდები მიწათ. მოვალე გამსესხებელს გადასცემს კუთვნილ მიწას სესხის არსებობის პერიოდში, მაგრამ გადასცემს არა პირადი მოხმარებისთვის და ამით ვალის ასანაზღაურებლად, არამედ სესხის თავდებად. ვალად აღებულ ვერცხლს ისევ ვერცხლით იხდის, და ვალის გასტუმრებისთანავე იბრუნებს მიწას [2:21].

ქიულთეფეს არქივის ტექსტებში თითქმის ყველა ვალი დაზღვეულია. არქივში არსებული ყველა სავალო ხელშეკრულების აგებულება ასეთია: აღწერილია თუ ვინ არის მოვალე, გამსესხებელი, სესხის გაცემი თარიღი, თუ როდის უნდა იქნეს სესხი დაბრუნებული, პროცენტი, თავდები და მოწმეები. გარდა ამისა შესაძლებელია იყოს სხვა რაიმე დამატებითი ინფორმაცია.

დაზღვეული სესხის მეტად საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ერთერთი ვაჭრის წერილი თავის ნათესავ-კომპანიონებისადმი

[9. №18:128] – წერილს წერს ვინმე აშურთაქლაქუ დას თარიშეს და ძმას ამარუმუს. როგორც ჩანს წერილის ავტორს შერყეული აქვს ფინანსური მდგომარეობა და აქვს ბევრი გადაუხდელი ვალები. იგი სთხოვს თავის ნათესავ კომპანიონებს არ გადადონ და როგორმე გადაიხადონ გადასახადები, რათა არ გავრცელდეს ხმები მისი არაკეთილსინდისიერების შესახებ, რაც ხელს შეუშლის დაუყოვნებელი სესხის აღებაში. მას ეს სესხი ესაჭიროება მამისეული სახლის ვალების გადასახდელად. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს სახლი სხვა სესხის ასაღებად ჰქონდა სანინდრად ჩადებული, როგორც სესხის დაზღვევა (შეიძლება შევადაროთ თანამედროვე ვითარებას: ერთი ბანკიდან სესხის გამოტანა მეორე ბანკის სესხის დასაფარად და სანინდრად ჩადებული უძრავი ქონების დასახსნელად).

დაზღვეულ ვალთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას გვანვდის „თიდენუთუ ტექსტები“, რომელიც წარმოადგენს ე. წ. საკაბალო ტექსტებს. მომდინარეობს სიტყვა *tidenmu* (*titennu*) -დან, რაც ნიშნავს პიროვნებას ან მინდროს, რომელიც გამოიყენება, როგორც სანინდრის ობიექტი. *tidenmutu* წარმოადგენს ძირითადად ორმხრივ გარიგებას.

ტერმინი *tidenmutu*-თი გადმოცემული ქმედება არის ქონების ან პიროვნების გადაცემა გირაოდ, დროის დადგენილი პერიოდით რაიმე ისეთი ქონების სანაცვლოდ, რომელის გადაადგილებაც შეიძლება, მანამ სანამ გასასხებული ნივთები უკან არ დაბრუნდება. ამ პერიოდის განმავლობაში გამსესხებელს მოსავალი მოყავს მინდორზე და ამით სარგებლობს, ან სარგებლობს მოვალის, მისი ოჯახის წევრების ან მონების მომსახურებით. ხელშეკრულებებში არ გვხვდება რაიმე წინასწარი შეთანხმება იმის შესახებ თუ რა მოხდება თუ მსესხებელი დათქმულ დროს ნივთებს არ დაბრუნებს ან თუ შეიძლება სანინდრის ობიექტი დროზე ადრე იქნეს გამოსყიდული თუმცა როგორც ტექსტებიდან ჩანს ვადა საკმაოდ დიდხანს გრძელდება ხოლმე: ათი, ოცი და ერთ შემთხვევაში 50 წელიც კი [28:395].

გვხვდება სინდიკატური სესხის შემთხვევაც, როცა სავაჭრო საზოგადოება სესხს გასცემს არა კონკრეტულ პირზე არამედ სავაჭრო ორგანიზაციაზე.

მ. ჰადსონი მიიჩნევს, რომ შუამდინარული ტექსტური და მატერიალური ჩანაწერები არ შეიცავენ საკმარის ინფორმაციას, რომლებიც საჭირო იქნებოდა იდეების დადასტურებისათვის იმის შესახებ თუ რა ხდებოდა შუამდინარეთში სავალო ურთიერთობების მიმართულებით, ამიტომ დინამიკის რეკონსტრუქციისათვის ზოგიერთი ლოგიკური დასკვნა არის აუცილებელი. ეს ეკონომიკის ის-

ტორიკოსისგან მოითხოვს რისკზე წასვლას, რომ შეიქმნას დამაჯერებელი ჰიპოთეზები პირველი პროცენტიანი ვალის გამოჩენის და კომერციულ სესხთან ერთად მეურნეობის განვითარების შესახებ. ის იმედოვნებს, რომ არსებული მასალები მისცემს მნიშვნელოვან მინიშნებებს სიცარიელეების შესავსებად და ჩამოაყალიბებს სურათს, იმის შესახებ თუ როგორ ორგანიზებას უკეთებდნენ შუმერები და ბაბილონელები სავალო ურთიერთობებს [22:1].

ჩვენის აზრით, შუამდინარული ტექსტები საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას წარმოადგენენ სასესხებო-სავალო ურთიერთობებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასტახიშვილი ე., ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, ხური მითანის სამეფო — 260 - 261 ტექსტები; თბ., „მეცნიერება“, 1990
2. კიკნაძე ზ., ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, ხამურაბის კანონები; თბ., „მეცნიერება“, 1990
3. შარაშენიძე ჯ., ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, ნაკვეთი I, ძველი შუამდინარეთი, ძვ. ბაბილონი; თბ., თსუ გამომცემლობა; 1999
4. შარაშენიძე ჯ., შუმერული ქრესტომათია, თბ., თსუ გამომცემლობა, 2005
5. ჩანტლაძე ვ., ფულის, კრედიტის და ფინანსების ისტორია: ლექციების კურსი ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის/ფინანსების და კრედიტის კათედრა, ნაკვეთი 1-2; თბ., თსუ გამომცემლობა, 1986
6. ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, VII, თბ., 1984
7. Дьяконов И.М., Развитие земельных отношений в Ассирии, Л., 1949
8. Рифтин А.П., Старовавилонские юридические документы, Л; 1937
9. Breckwoldt T., A concise Dictionary of Akk; 2nd printing, Harrassowitz, Wsbd 2000
10. Finlay S., Consumer Credit Fundamentals. Second Edition. Palgrave MacMillan, 2009
11. Goetze A., The Laws of Eshnunna, The Annual of the American Schools of Oriental Research, Vol. 31, The Laws of Eshnunna 1951-1952

12. Hrozny B., Rapport preliminaire sur les fouilles lchecoslovaques du Kultepe, Syria, 8/1
13. Ingham, G., The Nature of Money. Polity Press; 2004
14. Jankowska N.B., Communal
15. Lewy J., Old Assyrian Documents from Asia Minor (AHDO I, pp. 91-188; AHDO II, p. 111 sp.)
16. Roth M.T., The Assyrian Dictionary of the Oriental Institute of the University of Chicago (CAD); Volume 18, T; Chicago; 2006
17. Steele R.F., The code of Lipit-Ishtar; Philadelphia; published by the university museum; 1948
18. Sullivan A., Sheffrin S.M., Economics: Principles in action. Upper Saddle River, New Jersey 07458: Pearson Prentice Hall.; ISBN 0-13-063085-3; 2003
19. Yaron R., The laws of Eshnunna, 2nd revised edition; jerusalem-Leiden, 1988

Nino Akhuashvili

Loan and Dept in old Mesopotamia

Summary

The article “loan and debt in old Mesopotamia” is dedicated to questions of “loan” and “debt” formation in old Mesopotamia, terms connected to them, types, use and functions.

The main part of the article is about classification of concepts “loan” and “debt” according Mesopotamian origins. They are: Mesopotamian laws, merchant texts, king inscriptions and so-called “tidennutu” texts. In the first part of the article general determination of “loan” and “debt” is realized, for having an idea about general meaning of these terms and the next part is the review of Mesopotamian texts and analyze based on this review.

We hope that the reviewed question will be interesting as for scientists of this specific field, also for persons interested in the history of economy.